ხელშეკრულება №35030205/01
(მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

("პროფესიულ დაავადებათა პრევენციის" 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის მომსახურება პროგრამული კოდი – 35 03 02 05)

ქ. თბილისი "2„ აპრილი " " 2012 წელი

ერთის მხრივ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" (შემდგომში „შემსყიდველი") მისი გენერალური დირექტორის ნატო ავალიანის სახით და მეორეს მხრივ, სს „ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი", (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის რუსუდან ჯავახაძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1 "საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი.
1.2 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^{I} მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.
1.3 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი.
1.4 „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონი.
1.5 საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებით დამტკიცებული "პროფესიულ დაავადებათა პრევენციის" სახელმწიფო პროგრამა.
1.6 „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანება.
1.7 საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის 2012 წლის 2 აპრილის N04-02/23346 წერილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებით დამტკიცებული "პროფესიულ დაავადებათა პრევენციის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 'მომსახურების" შესყიდვა (CPV 85100000).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 205460 (ორასხუთიათასოთხასსამოცი) ლარს, მათ შორის 2012 წლის დეკემბრის თვეში გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს 22500 (ოცდაორიათასხუთასი) ლარს, რომელიც ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (დანართი 1).

4. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

4.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია (შემდგომში „მომსახურება"):
ა) საქართველოს ეროვნული მეურნეობის (შავი მეტალურგია, სოფლის მეურნეობა-მევენახეობა, მშენებლობა, ავტომომსახურება და სხვ.) დარგებში კვლევების ჩატარება პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შეფასებისა და პროფესიული და პროფესიით განპირობებული დაავადებების პრევენციის მიზნით:
ა.ა) **მიზნობრივი ჯგუფი - სს „თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა"**- პროფესიული რისკ ფაქტორების ჰიგიენური შეფასება (მტვერი, ქიმიური ნივთიერებები, მიკროკლიმატი (ჰაერის ტემპერატურა, ფარდიბითი ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური გამოსხივება), ხმაური, განათება, სამუშაო დღის ქრონომეტრაჟი) შრომის პირობების კლასების დადგენა, პროფესიული რისკის სავარაუდო ჯგუფების განსაზღვრა, დასკვნებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება;

- ეპიდკვლევის ჩატარება - ინტერვიურება პირისპირი მეთოდით;
- ინვენტარიზაციის კითხვარის შევსება;
ა.ბ) მიზნობრივი ჯგუფი - ავტომომსახურების ობიექტები - ჯანმოს მოთხოვნების გათვალისწინებით აზბესტის ეროვნული პროფილის ინფორმაციული დოკუმენტის პირველი ვერსიის შემუშავება, რომელშიც განსაზღვრული იქნება: პროფილის სქემა, ქვეყანაში აზბესტისა და აზბესტშემცველი მასალების მოხმარების საწყისი სურათი, დასაქმებული მოსახლეობის ის ჯგუფი, რომელიც იმყოფება (ან იმყოფებოდა) აზბესტის ექსპოზიციის ქვეშ;
- აზბესტით განპირობებული დაავადებების (ფილტვის და ბრონქიოლების კიბო, მეზოთელიომა-პლევრული და პერიტონიული) გავრცელების სიხშირის გამოვლენა ონკოლოგიურ კონტიგენტში;
- ფართო საინფორმაციო მედიაკომპანიის ჩატარება აზბესტთან დაკავშირებული რისკების და პრევენციული ღონისძიებების შესახებ, ტრენინგი დამსაქმებელთათვის, დასაქმებულათვის და მათი წარმომადგენლებისათვის;
ა.გ) მიზნობრივი ჯგუფი - სს "ჯორჯიანმანგანეზი" - ჭიათურის მაღაროებში და გამამდიდრებელ კომბინატში წინა წლებში ჩატარებული რეფერენსკვლევის შედეგად გამოვლენილ დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი;
ა.დ) მიზნობრივი ჯგუფი - ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა: მეტალურგიული მოწყობილობების შემკეთებელი საამქრო, ენერგორესურსების უზრუნველყოფის საამქრო, აჯამეთის კარიერი, გარცმების დამამზადებელი საამქრო, საჩამომსხმო საამქრო, აგლოფაბრიკა.
- პროფესიული რისკ ფაქტორების ჰიგიენური შეფასება (მტვერი, ქიმიური ნივთიერებები, მიკროკლიმატი (ჰაერის ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური გამოსხივება), ხმაური, განათება, სამუშაო დღის ქრონომეტრაჟი) შრომის პირობების კლასების დადგენა, პროფესიული რისკის სავარაუდო ჯგუფების განსაზღვრა, დასკვნებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება. ობიექტები: მეტალურგიული მოწყობილობების შემკეთებელი საამქრო, ენერგორესურსების უზრუნველყოფის საამქრო, აჯამეთის კარიერი, გარცმების დამამზადებელი საამქრო, საჩამომსხმო საამქრო, აგლოფაბრიკა;
- ეპიდკვლევის ჩატარება შემუშავებული კითხვარების საფუძველზე-ინტერვიურირება პირისპირი მეთოდით. შესწავლილი იქნება მეტალურგიული მოწყობილობების შემკეთებელი საამქრო, ენერგორესურსების უზრუნველყოფის საამქრო, აჯამეთის კარიერი, გარცმების დამამზადებელი საამქრო, საჩამომსხმო საამქრო, აგლოფაბრიკა- რესპოდენტთა რაოდენობა 250.
- შესწავლილი იქნება ავადობის მაჩვენებლები შრომის უუნარობის დღეების მიხედვით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში;
- რეფერენსული კვლევის ჩატარება - 50 დასაქმებული. ჩაუტარდებათ თერაპევტის, ნევროპათოლოგის კარდიოლოგის, დერმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოკულისტის კონსულტაციები; ელექტროკარდიოგრაფია, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა, რენტგენოლოგიური კვლევა, კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები, თმის ბიოსუბსტრატში მიკროელემენტების შემცველობის განსაზღვრა.
ა.ე) მიზნობრივი ჯგუფი- ქ. თელავი, ღვინის ქარხანა „თელიანი ველი" და მისი კუთვნილი ზვრები
- პროფესიული რისკ ფაქტორების ჰიგიენური შეფასება (მტვერი, ქიმიური ნივთიერებები, მიკროკლიმატი (ჰაერის ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე), ხმაური, სამუშაო დღის ქრონომეტრაჟი) შრომის პირობების კლასების დადგენა, პროფესიული რისკის სავარაუდო ჯგუფების განსაზღვრა, დასკვნებისა და

პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება. ობიექტი: ,,თელიანი ველი"-ს კუთვნილი ზვრები;

- რეფერენსული კვლევის ჩატარება შემდეგ ობიექტზე - ღვინის ქარხანა ,,თელიანი ველი" და მისი კუთვნილი ზვრები - 80 დასაქმებული. ჩაუტარდებათ თერაპევტის, ნევროპათოლოგის კარდიოლოგის, დერმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოკულისტის კონსულტაციები; ელექტროკარდიოგრაფია, კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები. ღვინის ქარხანა და მისი კუთვნილი ზვრები

ა.ვ) **მიზნობრივი ჯგუფი- საგარეჯოს რ-ნი ღვინის ქარხანა და მისი კუთვნილი ზვრები**

-პროფესიული რისკ ფაქტორების ჰიგიენური შეფასება (მტვერი, ქიმიური ნივთიერებები, მიკროკლიმატი (ჰაერის ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური გამოსხივება), ხმაური, განათება, სამუშაო დღის ქრონომეტრაჟი) შრომის პირობების კლასების დადგენა, პროფესიული რისკის სავარაუდო ჯგუფების განსაზღვრა, დასკვნებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება. ობიექტი: ღვინის ქარხანა და მისი კუთვნილი ზვრები:

- ეპიდკვლევის ჩატარება- ინტერვიურირება პირისპირი მეთოდით;
- ინვენტარიზაციის კითხვარის შევსება.

ბ) 2007-2011 წლებში ჩატარებული რეფერენს კვლევის შედეგების შემდგომი მონიტორინგის მიზნით ფორმირებული ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შევსება:

ბ.ა) ჩატარებული რეფერენს კვლევის შედეგების 2007-2011 წლებში მონაცემთა ბაზის შესაბამისობაში მოყვანა ,,ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის" მეათე გადახედვის დაავადებათა კოდების შესაბამისად;

ბ.ბ. EU მისიის რეკომენდაციის შასაბამისად მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება, 2007-2011 წლებში ჩატარებული რეფერენს კვლევის შედეგების მონაცემთა ბაზის შევსება და ანალიზი.

გ) გამოკვლეულ საწარმოთა აღწერა, არსებული საინფორმაციო ბაზის სრულყოფა ერთიანი ეპიდზედამხედველობის მონაცემთა შემუშავებისათვის;

გ.ა) 2007-2011 წლებში გამოკვლეულ საწარმოთა შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის სრულყოფა;

გ.ბ) 2007-2011 წლებში გამოკვლეულ საწარმოებში ჩატარებული ჰიგიენური კვლევების მონიტორინგი და ანალიზი.

დ) პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში ინფორმაციის, ტრენინგების და ცნობიერების ამაღლების სისტემის ჩამოყალიბება:

დ.ა) EU მისიის რეკომენდაციის შესაბამისად პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;

- პროფესიული დაავადებების ეროვნული სტატისტიკური მონაცემთა ბაზის შექმნისათვის პროფესიული დაავადებების დიაგნოსტირების სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლების გადახედვა, მოკვლევის, რეგისტრაციისა და აღრიცხვის სისტემის სრულყოფა;
- პროფესიული ინციდენტების შეტყობინების და ანალიზის სისტემის დაფუძნება.

დ.ბ) პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში ინფორმაციის, ტრენინგების და ცნობიერების ამაღლების სისტემის ჩამოყალიბება მისი რესურსების გაუმჯობესების გზით სისტემის სწორი ფუნქციონირება;

დ.გ. დასაქმებულის, დამსაქმებლის, მიზნობრივი და დაინტერესებული ჯგუფების (პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმები, ოჯახის ექიმი, პროფპათოლოგი, მაგისტრები, რეზიდენტები და სხვა) ტრენირება და ინფორმირება პროფესიული რისკების, პროფესიული და პროფესიით განპირობებული დაავადებების პრევენციის შესახებ. წიგნის პრეზენტაცია;

ე) მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება;
- სოფლის მეურნეობა;
- ავტომომსახურების სფერო;
- საბანკო სისტემა;
- საამშენებლო კომპანიები;
- სამედიცინო სფერო.

ვ) სოციალური დიალოგის გაუმჯობესების მიზნით ინსტიტუტის ბაზაზე საიმფორმაციო-საკორდინაციო საბჭოს ფორმირება კამპანიის და სამპარიტეტულ დონეზე;

ვ.ა) საკოორდინაციო საბჭოს შექმნა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის სამინისტროების და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით;

ვ.ბ) ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით (დაინტერესებულ მხარეებთან) კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 „მომსახურების“ უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი“ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის“ ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ფორმა და ვადები

6.1 „მომსახურების“ გაწევის ვადაა - 2012 წლის 2 აპრილიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2 „მომსახურების“ მიწოდების ადგილი - თბილისი, მ. ასათიანის ქ. 9, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

6.3 მიწოდების ფორმა - „მომსახურების“ ღონისძიებათა შესრულება „შემსყიდველის“ მიერ თანდართული ფორმებით.

6.4 „მომსახურების“ შედეგების მიწოდების ვადა - ყოველთვიურად, მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 „მიმწოდებელი“ ყოველთვიურად წარმოადგენს ანგარიშს მის მიერ საანგარიშო თვეში გაწეული „მომსახურების“ შესახებ, შეთანხმებული ფორმით (ანგარიშ-ფაქტურა; ფორმა 1, ფორმა 2, ფორმა 3 თან ერთვის).

7.2 „მიმწოდებელი“ „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგენს სრულ წერილობით ინფორმაციას „მომსახურების“ მიმდინარეობის შესახებ.

7.3 ანგარიშგების ფორმებში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეიქმნება ობიექტური საჭიროება ანგარიშგების გაუმჯობესების მიზნით, ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესით.

7.4 „მიმწოდებელი“ სრულად აგებს პასუხს მის მიერ მიწოდებული ანგარიშების უტყუარობაზე. „მიმწოდებელი“ ადგილზე ინახავს ანგარიშებს და პირველად დოკუმენტაციას დადგენილი წესის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში გაცნობისათვის პირველივე მოთხოვნისთანავე წარუდგენს „შემსყიდველს“.

7.5 არასწორად, არასრულად ან არაკორექტულად წარმოდგენილი ანგარიშსწორების ფორმა უბრუნდება „მიმწოდებელს“ მის საბოლოო შესწორებამდე, ამასთან შედეგებზე იგი პერსონალურად აგებს პასუხს.

7.6 „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილ პირებს შორის ყოველთვიურად განხორციელდება პირველადი მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა 3) გაფორმებით.

7.7 „მიმწოდებლის“ მიერ გაწეული „მომსახურების“ შესახებ ანგარიშის დაგვიანებით წარმოდგენის ან არწარმოდგენის შემთხვევაში „შემსყიდველი“ მისი სახაზონო სამსახურში წარდგენის საკითხს გადაწყვეტს განხილვის შემდგომ.

7.8 „შემსყიდველი“ ითვალისწინებს, რომ „მიმწოდებლისათვის“ სრულადაა ცნობილი დასახული ამოცანები და მათ შესასრულებლად გამოსაყენებელი ნორმატიული დოკუმენტაცია.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.3 ანაზღაურება განხორციელდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით.

8.4 ანაზღაურება მოხდება წარმოდგენილი ფაქტიური ხარჯის შესაბამისად ყოველთვიური პირველადი მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა 3) ხელმოწერის შემდეგ ათი სამუშაო დღის განმავლობაში, კანონით გათვალისწინებული პროცედურის დაცვით.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

9.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

9.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

9.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს“ „მომსახურება“, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის“ დაკვეთას.

9.2.2 აცნობოს „შემსყიდველს“ ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას.

9.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

9.3 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

9.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ ხელშეკრულების ყველა პუქნტის უცილობელი შესრულება.

9.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.

9.3.3 არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

9.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მეერ მიწოდებული „მომსახურების“ ღირებულების სრული და დროული ანაზღაურება.

9.4.3 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პურობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების“ მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

9.4.4 აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეთანისათვის.

9.4.5 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

9.4.6 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

10.2.ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

10.3. „მიმწოდებელის“ პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების პირობათა დარღვევის შემთხვევაში, ვრცელდება არა მარტო მისაწოდებელი „მომსახურების“ ფარგლებში, არამედ

„შემსყიდველისათვის“ იმ დანახარჯების ანაზღაურებით, რაც აუცილებელი იქნება მის მიერ სახელმწიფო პროგრამის აუცილებელი შესრულებისათვის.

10.4. ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, განურჩევლად მისი ობიექტური მიზეზისა გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

10.5. ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობით შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია.

10.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.7.1. თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება“.

10.7.2. თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების“ მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.

10.8. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.9. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

10.9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

10.9.2.თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.9.3.. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში.

10.10. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ უკვე ფაქტიურად მიღებული „მომსახურების“ ღირებულება.

10.11. საჯარიმო სანქციები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებით და სხვა მოქმედი კანონმდებლობით.

11. დაუძლეველი ძალის მოქმედება

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შიეძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით. რომელსაც ცნობენ მხარეები.

11.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნარიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

12.2 თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

13. გამოსაყენებელი სამართალი

13.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

15. ურთიერთობა მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. ხელშეკრულების სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16.2. „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

16.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.

16.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

17. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

17.1. „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და შესაბამისად „მომსახურების“ მიზნობრივას გატარების შესახებ „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

17.1.1.უშუალოდ განახორციელოს ინსპექტირება, რომელიც შეეხება ყოველთვიური „მომსახურების“ პერიოდს (ან „მომსახურების“ დასრულებულ ციკლს).

17.1.2. არ აანაზღაუროს ინსპექტირების შედეგად არაკორექტულად მიჩნეული გაწეული „მომსახურების“ ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

17.2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედარება „მიმწოდებლის“ მიერ შეტყობინებისას დაფიქსირებულ მონაცემებთან და შემთხვევის შერჩევითი შემოქმედების შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

17.3. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების ვადაა საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 22 სამუშაო დღე.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

18.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

18.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

18.4. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

29. განსაკუთრებული შენიშვნები

19.1 ხელშეკრულება დგება ორ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

20. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ მ. ასათიანის ქ. 9	სს „ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი“ ფაქტიური მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N60
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351 ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა	ს/კ 202887126 საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ცენტრალური ფილიალი
ბ/კ 220101222 ა/ა 200122900 გენერალური დირექტორი	ბ/კ 220101480 ა/ა 360812732002 დირექტორი:
_____ ნატო ჯაფლიანი	_____ რუსუდან ჯავახაძე
	ბ. ს.

დანართი 1

	ეკონომიკური კლასიფიკატორი	სულ ხარჯი (8 თვე) ლარი	2012 წლის დეკემბერი	სულ ხარჯი (ლარი)
1	საქონელი და მომსახურება, მათ შორის:	182960.00	22500.00	205460.00
1.2	შრომის ანაზღაურება	151598.00	19069.00	170667.00
1.3	სხვა ხარჯი	31362.00	3431.00	34793.00

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის
გენერალური დირექტორი

ნატო ავალიანი

მ.ა.

სს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსიტუტის
დირექტორი:

ბუსუდან ჯავახაძე

მ.ა.

ფორმა 1/ს

სარეგისტრაციო N _____

* მუნიციპალური ერთული :_____

* დაწესებულების დასახელება: _____

* საბანკო რეკვიზიტები:

* შესრულების თვე: _____

	ეკონომიკური კლასიფიკატორი	გაწეული ხარჯი (ლარი)	შენიშვნა
1	საქონელი და მომსახურება, მათ შორის:		
1.2	შრომის ანაზღაურება		
1.3	სხვა ხარჯი		

დაწესებულების ხელმძღვანელი: _____

ბ.ა.

ფორმა N 2

რეგისტრაციის #_____ თარიღი_____

ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ

ანგარიშგების პერიოდი 2012 წლის _____ თვე

დაწესებულების დასახელება _____

პროგრამა (კომპონენტი) _____

ხელშეკრულების N _____ თარიღი_____

N	კვლევის დასახელება	გამოკვლევის ჩატარების თარიღი	სამედიცინო დოკუმენტის N	პაციენტის სახელი, გვარი	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	საცხოვრებელი ადგილის მისამართი	პირადი N	კვლევის შედეგი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1								
2								
3								
4								
5								
6								
7								
8								
9								
10								
11								
12								
13								
14								

დაწესებულების ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი ბ.ა

ფორმა N 3

ა ქ ტ ი N

შესრულებული სამუშაოების ყოველთვიური პირველადი მიღება-ჩაბარების აქტი

სამედიცინო დაწესებულების მიერ 2011 წლის _____ გაწეულ სამედიცინო მომსახურებაზე

პროგრამა (კომპონენტი) _____

ხელშეკრულების N _____ თარიღი_____

#	ანგარიშ-ფაქტურის N და თარიღი		წარმოდგენილი სამუშაოს ღირებულება	ექვემდებარება შემცირებას		ექვემდებარება ფულადი სახსრებით ანაზღაურებას
				ლიმიტს ზემოთ თანხა	სხვა მიზეზებით დარღვევების გამო	
1	2	3	4	5	6	7

ჩააბარა:

_____

დაწესებულების დასახელება

_____

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

მიიღო:

ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

_____

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა